

ჯგუფი ტურიზესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	9
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძვლები.....	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	14
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	24
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	25
6. თამაშებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი	29
7. ამონაგები	30
8. სხვა ხარჯები	30
9. მოგება საინვესტიციო ქონების გასვლიდან.....	30
10. წმინდა საპროცენტო ხარჯები.....	31
11. ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებული ხარჯები	31
12. ძირითადი საშუალებები.....	31
13. საინვესტიციო ქონება	32
14. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება.....	33
15. სხვა ფინანსური მოთხოვნები	34
16. მარაგები	34
17. გაცემული სესხები.....	34
18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	34
19. ფული და ფულის ეკვივალენტები	35
20. მიღებული სესხები.....	35
21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	36
22. არამაკონტროლებელი წილი.....	36
23. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.....	37
24. შეწყვეტილი ოპერაციები	38
25. პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები.....	39
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	39
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება.....	40

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ტურინვესტ ჯგუფის მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ტურინვესტ ჯგუფის (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს განმარტებულია მე-9 შენიშვნაში, ჯგუფმა 2022 წელს გაყიდა საინვესტიციო ქონება 23,802,586 ლარად და აღიარა მოგება გასვლიდან 1,573,019 ლარი. მოთხოვნის დაფარვის პერიოდი შეადგენს 5 წელს. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან წარმოქმნილი სხვა ფინანსურ მოთხოვნების საწყის აღიარებაზე და შემდგომ აღრიცხვაზე, რაც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 23,802,586 (2022: 23,802,586 ლარად). შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები საინვესტიციო ქონების გასვლიდან მიღებულ მოგებასთან, სხვა ფინანსურ მოთხოვნასთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება საინვესტიციო ქონებაში შემავალი ცალკეული მიწების ღირებულებასთან დაკავშირებით. აღნიშნული საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 2,105,556 ლარით (2022: 2,105,556 ლარით). დამატებით, მე-13 შენიშვნაში ჯგუფი განმარტავს, რომ საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება შეესაბამება მის საბალანსო ღირებულებას. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება საინვესტიციო ქონების რეალურ ღირებულებაზე. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები საინვესტიციო ქონებასთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება საწარმოთა გაერთიანების შედეგად ჯგუფში შემოსული ძირითადი საშუალებების ქვეჯგუფის იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესების საწყის აღიარებაზე. აღნიშნული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 2,324,419 ლარით (2022: 2,668,997 ლარით). შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ძირითად საშუალებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ, კონსოლიდირებული ფინანსური

ანგარიშგების, აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, გვეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი

უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთი მოვლენებისა და ვითარებების მიმართ, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გაავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოს მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგენსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2023 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

3 სექტემბერი 2024

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ტურინვესტ ჯგუფის მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ტურინვესტ ჯგუფის (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს განმარტებულია მე-9 შენიშვნაში, ჯგუფმა 2022 წელს გაყიდა საინვესტიციო ქონება 23,802,586 ლარად და აღიარა მოგება გასვლიდან 1,573,019 ლარი. მოთხოვნის დაფარვის პერიოდი შეადგენს 5 წელს. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან წარმოქმნილი სხვა ფინანსურ მოთხოვნების საწყის აღიარებაზე და შემდგომ აღრიცხვაზე, რაც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 23,802,586 (2022: 23,802,586 ლარად). შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები საინვესტიციო ქონების გასვლიდან მიღებულ მოგებასთან, სხვა ფინანსურ მოთხოვნასთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება საინვესტიციო ქონებაში შემავალი ცალკეული მიწების ღირებულებასთან დაკავშირებით. აღნიშნული საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 2,105,556 ლარით (2022: 2,105,556 ლარით). დამატებით, მე-13 შენიშვნაში ჯგუფი განმარტავს, რომ საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება შეესაბამება მის საბალანსო ღირებულებას. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება საინვესტიციო ქონების რეალურ ღირებულებაზე. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები საინვესტიციო ქონებასთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება საწარმოთა გაერთიანების შედეგად ჯგუფში შემოსული ძირითადი საშუალებების ქვეჯგუფის იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესების საწყის აღიარებაზე. აღნიშნული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 2,324,419 ლარით (2022: 2,668,997 ლარით). შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ძირითად საშუალებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების, აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოვაცქეს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთი მოვლენებისა და ვითარებების მიმართ, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილ მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოს მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2023 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

**ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა
კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხედენილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

3 სექტემბერი 2024

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
თამაშებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალი	6	16,068,785	20,540,127
ამონაგები	7	11,733,230	12,516,691
პერსონალის ხარჯები		(12,354,895)	(11,400,150)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		(3,279,685)	(4,063,660)
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი		(1,259,355)	(1,115,804)
კაზინოს ლიცენზიის ხარჯი		(3,200,000)	(2,125,400)
სხვა ხარჯები	8	(5,492,449)	(6,393,079)
საოპერაციო მოგება		2,215,631	7,958,725
მოგება საინვესტიციო ქონების გასვლიდან	9	-	8,986,007
ფინანსური აქტივების გაუფასურების აღდგენა		(16,794)	5,961,466
წმინდა საპროცენტო ხარჯები	10	(1,777,719)	(2,140,887)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან		(762,731)	3,308,543
ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებული ხარჯები	11	(604,621)	(1,046,014)
წმინდა მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		(946,234)	23,027,840
მოგება/(ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან	24	192,690	(12,207)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(753,544)	23,015,633
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		(753,544)	23,015,633
წმინდა მოგება/(ზარალი) მიკუთვნებული:			
დედა კომპანიის მფლობელებს		(865,271)	23,077,583
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებს		111,727	(61,950)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(753,544)	23,015,633
სრული შემოსავალი/(ზარალი)			
დედა კომპანიის მფლობელებს		(865,271)	23,077,583
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებს		111,727	(61,950)
სრული შემოსავალი/(ზარალი)		(753,544)	23,015,633

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 3 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გიორგი აბაშიძე

ფინანსური დირექტორი

გიორგი გოჩიტაშვილი

ჯგუფი ტურიზესტ ჯგუფი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
თამაშებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალი	6	16,068,785	20,540,127
ამონაგები	7	11,733,230	12,516,691
პერსონალის ხარჯები		(12,354,895)	(11,400,150)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		(3,279,685)	(4,063,660)
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი		(1,259,355)	(1,115,804)
კაზინოს ლიცენზიის ხარჯი		(3,200,000)	(2,125,400)
სხვა ხარჯები	8	(5,492,449)	(6,393,079)
საოპერაციო მოგება		2,215,631	7,958,725
მოგება საინვესტიციო ქონების გასვლიდან	9	-	8,986,007
ფინანსური აქტივების გაუფასურების აღდგენა		(16,794)	5,961,466
წმინდა საპროცენტო ხარჯები	10	(1,777,719)	(2,140,887)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან		(762,731)	3,308,543
ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებული ხარჯები	11	(604,621)	(1,046,014)
წმინდა მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		(946,234)	23,027,840
მოგება/(ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან	24	192,690	(12,207)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(753,544)	23,015,633
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		(753,544)	23,015,633
წმინდა მოგება/(ზარალი) მიკუთვნებული:			
დედა კომპანიის მფლობელებს		(865,271)	23,077,583
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებს		111,727	(61,950)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(753,544)	23,015,633
სრული შემოსავალი/(ზარალი)			
დედა კომპანიის მფლობელებს		(865,271)	23,077,583
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებს		111,727	(61,950)
სრული შემოსავალი/(ზარალი)		(753,544)	23,015,633

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 3 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი აბაშიძე

ფინანსური დირექტორი



გიორგი გოჭიტაშვილი

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	18,590,446	18,852,140
საინვესტიციო ქონება	13	8,564,019	8,132,687
აქტივების გამოყენების უფლება	14	11,406,060	14,495,455
არამატერიალური აქტივები		453,798	462,291
ინვესტიციები ერთობლივ საწარმოში	11	-	-
სხვა ფინანსური მოთხოვნები	15	23,802,586	23,802,586
		62,816,909	65,745,159
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	16	651,416	428,445
გაცემული სესხები	17	745,721	723,431
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	2,448,608	2,124,852
ფული და ფულის ეკვივალენტები	19	8,485,557	13,490,904
		12,331,302	16,767,632
სულ აქტივები		75,148,211	82,512,791
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
კაპიტალი		47,066,727	47,066,727
გაუნაწილებელი მოგება		2,639,886	3,424,772
		49,706,613	50,491,499
არამაკონტროლებელი წილი	22	(64,329)	(16,724)
სულ კაპიტალი		49,642,284	50,474,775
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	20	2,852,349	3,310,873
საიჯარო ვალდებულებები	14	14,002,625	16,481,721
		16,854,974	19,792,594
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	4,705,231	4,530,003
მიღებული სესხები	20	3,255,967	5,161,718
საიჯარო ვალდებულებები	14	689,755	2,553,701
		8,650,953	12,245,422
სულ ვალდებულებები		25,505,927	32,038,016
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		75,148,211	82,512,791

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მშობელი საწარმოს მფლობელების კაპიტალი	არა- მაკონტროლებე ლი წილი	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი		47,066,727	(19,608,981)	27,457,746	90,452	27,548,198
ოპერაციები	22	-	18,090	18,090	(45,226)	(27,136)
არამაკონტროლებელ წილთან სრული შემოსავალი		-	23,077,583	23,077,583	(61,950)	23,015,633
ოპერაციები მფლობელების გადაწყვეტილებით	23	-	(61,920)	(61,920)	-	(61,920)
2022 წლის 31 დეკემბერი		47,066,727	3,424,772	50,491,499	(16,724)	50,474,775
ოპერაციები	22	-	159,332	159,332	(159,332)	-
არამაკონტროლებელ წილთან სრული ზარალი		-	(865,271)	(865,271)	111,727	(753,544)
ოპერაციები მფლობელების გადაწყვეტილებით	23	-	(78,947)	(78,947)	-	(78,947)
2023 წლის 31 დეკემბერი		47,066,727	2,639,886	49,706,613	(64,329)	49,642,284

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(753,544)	23,015,633
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		3,279,685	4,063,660
წმინდა საპროცენტო ხარჯები	10	1,777,719	2,140,887
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი/(აღდგენა)	17;18	16,794	(5,961,466)
ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებული ხარჯები	11	604,621	1,046,014
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	80,121
მოგება საინვესტიციო ქონების გასვლიდან	9	-	(8,986,007)
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	24	(192,690)	-
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან		762,731	(3,308,543)
		5,495,316	12,090,299
ცვლილება სამუშაო კაპიტალში			
მარაგების ზრდა/(კლება)		(222,971)	73,426
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(კლება)		(949,200)	252,186
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (ზრდა)/კლება		612,449	(1,360,126)
		4,935,594	11,055,785
გადახდილი პროცენტები	14;20	(1,979,195)	(2,241,115)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		2,956,399	8,814,670
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(928,510)	(719,250)
საინვესტიციო ქონების შეძენა		-	(44,012)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(386,997)
საინვესტიციო ქონების გასვლა		-	10,195,788
ერთობლივ საწარმოში შენატანები	11	(604,621)	(1,046,014)
შეწყვეტილი ოპერაციებიდან წმინდა ფულადი ნაკადები	24	(7,008)	-
გაცემული სესხის დაფარვა		-	6,134,568
სესხის გაცემა	17	-	(161,590)
შვილობილ საწარმოში წილის ზრდა	22	-	(27,136)
მიღებული პროცენტი		200,023	105,480
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,340,116)	14,050,837
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხის აღება	20	1,673,592	1,380,713
სესხის გადახდა	20	(4,255,198)	(7,286,165)
საიჯარო ვალდებულებების გადახდა	14	(3,655,213)	(2,427,037)
ოპერაციები მფლობელების გადაწყვეტილებით	23	(78,947)	(61,920)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(6,315,766)	(8,394,409)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(4,699,483)	14,471,098
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	19	13,490,904	1,716,293
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა		(305,864)	(2,696,487)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	19	8,485,557	13,490,904

ჯგუფი ტურინვესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს ტურინვესტ ჯგუფის (შემდგომში “კომპანია”) და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. შპს ტურინვესტ ჯგუფი არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი, რუსთაველის ქ., N 20. კომპანიის ბენეფიციარი მფლობელი არის ბატონი კლიმენტი ქასრაძე, რომელიც ფლობს კომპანიის 100%-იან წილს 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ინვესტიციების განხორციელება კომპანიებში. კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს და ერთობლივად კონსოლიდირებულ საწარმოს.

დასახელება	ქვეყანა	ეფექტური წილის ფლობა	2023	2022	საოპერაციო საქმიანობა
შვილობილები					
შპს არგო ანურია	საქართველო	100%	100%	საბაგირო მომსახურების მიწოდება ქ. ბათუმში	
შპს გრინ ინვესტი	საქართველო	66%	100%	სარესტორნო მომსახურების მიწოდება ქ. ბათუმში	
შპს გრანდ კაზინო	საქართველო	100%	100%	კაზინოს ოპერირება ქ. ბათუმში	
შპს ორიქსი	საქართველო	100%	100%	საინვესტიციო ქონების გაქირავება	
შპს კილაშური	საქართველო	100%	100%	უმოქმედო	
შპს ალიანსი	საქართველო	100%	100%	უმოქმედო	
შპს სსკ	საქართველო	100%	-	შიდაჯგუფური მიზნით სამშენებლო სამუშაოები	
შპს სიგნი	საქართველო	100%	-	შიდაჯგუფური მიზნით სამშენებლო სამუშაოები	
Formulati Consulting AB	შვედეთი	80%	80%	უმოქმედო	
ООО Formulati	რუსეთი		80%	სამშენებლო საკონსულტაციო მომსახურება	
ერთობლივი საწარმო					
GOB Foundation	ლიხტენშტეინი	50%	50%	აზარტული თამაშების სტარტაპი	
ინვესტიციები					
ООО Formulati	რუსეთი	16%		სამშენებლო საკონსულტაციო მომსახურება	

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შვილობილი კომპანია Formulati Consulting AB ფლობდა ООО Formulati 100% იან წილს და წარმოადგენდა მშობელ საწარმოს. 2023 წლის დასაწყისში Formulati Consulting AB გაყიდა ООО Formulati-ის 80%-იანი წილი და დაიტოვა 19% წილი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 24. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ООО Formulati-ის 20% იანი წილის სამართლიანი ღირებულება არსებითად უტოლდება ნულს.

2023 წელს ჯგუფმა დაარსა ორი სამშენებლო კომპანია შპს სიგნი და შპს სამხრეთის სამშენებლო კომპანია. შვილობილი კომპანიების საქმიანობა შეადგენს ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწაზე სასტუმროს მშენებლობას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 12.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. გარდა რეალური ღირებულების აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი გავლენების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, როდის არის მოსალოდნელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორება) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 8-ის შესწორება, რომელმაც დაამატა სააღრიცხვო შეფასებების განმარტება ბასს 8-ში. შესწორებაში ასევე დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო შეფასებაზე ამოსავალი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილების გავლენით გამოწვეული შედეგი წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას, თუკი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილება გამოწვეული არ არის წინა პერიოდის შეცდომების გასწორებით

გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა თავდაპირველი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.15-ს დამატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ბ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბასს 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა აგენდა გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვრიდან.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსის არ არსებობს გრძელ ვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშავებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

ჯგუფის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3.1 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას: აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე; იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი. როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზრდასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური აქტივი, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

3.2 ინვესტიციები ერთობლივ საწარმოში

ერთობლივი საქმიანობა გულისხმობს ორი ან მეტი მონაწილე მხარის ერთობლივად კონტროლირებადი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე. ერთობლივი კონტროლი წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ კონტროლს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტრატეგიული ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილე) ერთსულოვან თანხმობას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციებს ჯგუფი აღრიცხვას კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინვესტიცია კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამოზნული, რომელიც აღრიცხება ფასს 5-ის „გასაყიდად გამოზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“-ს შესაბამისად; კაპიტალ-მეთოდი ისეთი სააღრიცხვო მეთოდია, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების წმინდა აქტივებში არსებული ჯგუფის წილის შეძენის შემდგომი ცვლილების შესაბამისად. ჯგუფის მოგება ან ზარალი მოიცავს მის წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში.

თუ ჯგუფის წილი ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების ზარალში ტოლია ან აღემატება მის წილს ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ჯგუფი წყვეტს შემდგომი პერიოდის ზარალში მისი წილის აღიარებას. მას შემდეგ, რაც ჯგუფის წილი ნულამდე ეცემა, წარმოიქმნება დამატებითი ზარალი და ხდება ვალდებულებების აღიარება მხოლოდ ჯგუფის მიერ ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების სახელით აღებული იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულებების ან შესრულებული გადახდების მოცულობით.

ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების აღრიცხვას კაპიტალ-მეთოდით ჯგუფი იმ მომენტიდან იწყებს, როდესაც ინვესტირებული საწარმო შეიძლება ჩაითვალოს ერთობლივად კონტროლირებად საწარმოდ. ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ინვესტიციის შეძენის დროს წარმოშობილი სხვაობა (დადებითი თუ უარყოფითი), ინვესტიციის თვითღირებულებასა და ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა წმინდა რეალურ ღირებულებაში ინვესტორის წილს შორის, აღირიცხება შემდეგნაირად:

ა) გუდვილი, რომელიც დაკავშირებულია ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებთან, შეიტანება ამ ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში. თუმცა, ამ გუდვილის ამორტიზაცია არ ხდება;

ბ) ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების იდენტიფიცირებადი აქტივების და ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში ინვესტორის წილის ნებისმიერი მეტობა ინვესტიციის თვითღირებულებაზე შეიტანება ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების მოგებაში ან ზარალში ჯგუფის წილის გაანგარიშებაში შემოსავლის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ინვესტიცია იქნა შეძენილი.

თუ ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები და ჯგუფი მსგავს ოპერაციებსა და შემთხვევებში იყენებენ განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, ხოლო ჯგუფი კაპიტალ-მეთოდს იყენებს ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით, ხდება მათი სააღრიცხვო პოლიტიკათა დაახლოება და შესაბამისი კორექტირებების ჩატარება.

ვინაიდან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის საბალანსო ღირებულების შემადგენელი გუდვილი ცალკე არ აღიარდება, გუდვილის გაუფასურების შემოწმება ცალკე არ ხდება ბასს 36-ის - „აქტივების გაუფასურება“ - მოთხოვნების მიხედვით. ამის ნაცვლად, ბასს 36-ის შესაბამისად, გაუფასურებაზე შემოწმდება ამ ინვესტიციის მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება, როგორც ერთი აქტივის საბალანსო ღირებულება, მისი ანაზღაურებადი ღირებულების (რომელიც არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის) შედარების გზით საბალანსო ღირებულებასთან, ყოველთვის, როდესაც არსებობს მინიშნება, რომ ნეტო ინვესტიცია შეიძლება გაუფასურებული იყოს. ასეთ ვითარებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი არ ნაწილდება რომელიმე აქტივზე, მათ შორის გუდვილზე, რომელიც ერთობლივ საწარმოში ფლობილი ნეტო ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ნაწილია. შესაბამისად, ამგვარი გაუფასურების ნებისმიერი ანულირებული (კომპენსირების) თანხა აღიარდება ბასს 36-ის შესაბამისად იმ ოდენობით, რა სიდიდითაც შემდგომში გაიზრდება ამ ნეტო ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება.

ჯგუფი წყვეტს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებას იმ დღიდან, როდესაც იგი წყვეტს ერთობლივ კონტროლს ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში და იმ დღიდან ინვესტიციას აღრიცხავს ფასს 9-ის შესაბამისად, თუ ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები არ ხდება შვილობილი საწარმო ან მეკავშირე საწარმო. როდესაც ჯგუფი ერთობლივ კონტროლს კარგავს, იგი რეალური ღირებულებით აფასებს ინვესტიციას, რომელიც რჩება მას ყოფილ ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში. ჯგუფი მოგებაში ან ზარალში აღიარებს ნებისმიერ განსხვავებას ნებისმიერი დარჩენილი ინვესტიციისა და ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში წილის ნაწილობრივი დათმობიდან მიღებული შემოსულობის რეალურ ღირებულებასა და ერთობლივი კონტროლის დაკარგვის თარიღისთვის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას შორის.

ჯგუფი აგრძელებს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებას მას შემდეგაც რაც ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ხდება ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში. ამ შემთხვევაში აღარ ხდება ინვესტიციის რეალური ღირებულებით ხელახალი შეფასება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები.

3.4 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

ჯგუფის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის ქალაქ ბათუმში საბაგირო გზით სარგებლობის მომსახურების მიწოდება, სარესტორნო მომსახურების მიწოდება და სხვა მომსახურების მიწოდებიდან. ამონაგები საბაგირო გზით სარგებლობასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ მომსახურებაზე გადაეცემა მომხმარებელს (განხორციელდება მგზავრთა გადაყვანა). გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ მომსახურების შესყიდვა. სარესტორნო მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მომხმარებელს მიეწოდება სარესტორნო მომსახურება. ამონაგები სხვა მომსახურების გაწევიდან აღიარდება დროთა განმავლობაში შესრულებული მომსახურების პროპორციულად.

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. ჯგუფმა გამოიყენა შემდეგი გათავისუფლება: არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები და ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

3.5 თამაშებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი

თამაშებიდან მიღებული წმინდა შემოსავლის აღრიცხვა არ მიეკუთვნება ფასს 15-ის (ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან) მოქმედების სფეროს. აზარტული თამაშებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვას არეგულირებს ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები. თამაშებით მიღებული შემოსავალი წარმოდგენილია წმინდა შემოსავლის სახით, რაც გაიანგარიშება მიღებულ თანხებს გამოკლებული მომხმარებელთა მოგება და ქეშბექ ზონუსები.

3.6 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.7 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

3.8 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება განისაზღვრება იმ სავარაუდო ღირებულებით, რომელსაც ჯგუფი მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, აქტივი რომ ყოფილიყო ისეთ მდგომარეობაში როგორც იქნებოდა მისი მომსახურების ვადის გასვლისას.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფისთვის ცვეთა აღირიცხება ინდივიდუალურად. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა	არ ცვდება
შენობა-ნაგებობები	50
საბაგირო გზა	25
კაზინოს ინვენტარი	5-10
რესტორნის ინვენტარი	3-5
ოფისის აღჭურვილობა	5-12
იჯარის რემონტი	15

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

3.10 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობა, ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა: ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ბ) გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჯგუფი საინვესტიციო ქონებად განიხილავს მიწას, რომელსაც ამჟამად ფლობს, მაგრამ განუსაზღვრელია მისი სამომავლო გამოყენების წესი (იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფს ჯერ არ განუსაზღვრავს, გამოიყენოს თუ არა მიწა, როგორც მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება ან გაყიდოს ის მიმდინარე საქმიანობის პროცესში მოკლე ვადაში, ის მიიჩნევა კაპიტალის გაზრდის მიზნით გამოყენებულ ქონებად);

ჯგუფი საინვესტიციო ქონებას საწყისი აღიარებისას აღრიცხავს თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და ნებისმიერ უშუალოდ მიკუთვნებად დანახარჯებს.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3.11 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 5-20 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

3.12 იჯარა

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება: ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა: იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდები დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა,

ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება 5-15 წლიან პერიოდზე.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ჯგუფი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტრირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღირიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

3.13 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

3.14 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

გაყიდვის, გახარჯვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწრა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.15 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.16 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება წარმოადგენს: ა) შესაძლო ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს; ან ბ) მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან: მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; ან ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია.

3.17 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკით, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. ჯგუფი ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ფინანსური აქტივის საწყის აღიარებასთან შედარებით. იმ შემთხვევაში თუ ადგილი არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, ჯგუფი აფასებს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს სრულ საპროცენტო შემოსავალს. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება სრული საპროცენტო შემოსავალი. საკრედიტოდ გაუფასურებული სესხებისთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება წმინდა საპროცენტო შემოსავალი.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალი რისკის ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს: ბანკებისგან მიღებულ სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებსა და მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.18 საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

4.1 ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები

ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფმა გადახედა თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს. იხილეთ შენიშვნა 12.

4.2 გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი პერიოდულად აფასებს გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტობრივი შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.3 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკით, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.4 იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები

ჯგუფი იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ჯგუფი იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტობრივი საიჯარო გადახდები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)

4.5 სასამართლო დავები

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარეცხის საჭიროება და განმარტოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარეცხების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.6 მსჯელობა ერთობლივი კონტროლის არსებობაზე

ერთობლივი კონტროლი წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ კონტროლს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტრატეგიული ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილე) ერთსულოვან თანხმობას.

ხელმძღვანელობა მსჯელობს ინვესტიციებზე დე-ფაქტო კონტროლის არსებობაზე. დე-ფაქტო კონტროლი არსებობს სიტუაციებში, როდესაც კომპანიას აქვს პრაქტიკული უნარი წარმართოს ინვესტიციის შესაბამისი საქმიანობა ხმის მიცემის უფლების უმრავლესობის გარეშე. იმის დასადგენად, არსებობს თუ არა დე-ფაქტო კონტროლი, კომპანია ითვალისწინებს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას, მათ შორის დაკავშირებული მხარეების არსებობას. ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა შემდეგი გარემოება: ინვესტიციაში გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა სხვა ბენეფიციარის თანხმობა, რომლის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე წარმოადგენს ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარის ოჯახის წევრს. მიუხედავად ამ გარემოებისა, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფს არ აქვს დე-ფაქტო კონტროლი ინვესტიციაზე.

წარსული გამოცდილება და არსებული გარემოებები, რომელსაც ეფუძნება მსჯელობა დე-ფაქტო კონტროლის იდენტიფიცირებისას შესაძლებელია განსხვავდებოდეს მომავალში მოვლენათა ისეთი განვითარებისგან, რაც განაპირობებს დე-ფაქტო კონტროლის გაჩენას.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია: საკრედიტო რისკი; საპროცენტო რისკი; უცხოური ვალუტის რისკი; ლიკვიდურობის რისკი. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა გაცემული სესხები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს.

	2023	2022
სხვა ფინანსური მოთხოვნები	23,802,586	23,802,586
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	217,567	93,198
გაცემული სესხები გაუფასურების გამოკლებით	745,721	723,431
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,485,557	13,490,904
სულ ფინანსური აქტივები	33,251,431	38,110,119
	2023	2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,272,353	2,819,776
სესხები	6,108,316	8,472,591
საიჯარო ვალდებულება	14,692,380	19,035,422
სულ ფინანსური ვალდებულებები	24,073,049	30,327,789

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტიური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტიური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენება საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ჯგუფი ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტიურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, როგორცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ვალდებულებები, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას და განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

გაცემული სესხების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 7%-დან 10%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. სხვა ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხებისთვის მეორე და დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხებისთვის მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 7%-დან 12%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. სესხების რეალური ღირებულება შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას.

საიჯარო ვალდებულებების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი შეადგენს 7-9%, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. საიჯარო ვალდებულების რეალური ღირებულება შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას.

უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტების რეალური ღირებულება ფასდება მე-2 დონის ინფორმაციის გამოყენებით მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოდელის საფუძველზე.

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს არანაირ წარმოებულ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

	2023		2022	
	USD	EUR	USD	EUR
წმინდა გაცემული სესხები	435,682	-	469,206	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,806,100	360,061	1,424,929	4,618,973
სულ ფინანსური აქტივები	7,241,782	360,061	1,894,135	4,618,973
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	980,808	-	1,359,507	-
სესხები	6,395,325	756,383	101,967	5,561,384
საიჯარო ვალდებულება	528,334	14,164,045	1,973,807	16,614,861
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,904,467	14,920,428	3,435,281	22,176,245
წმინდა ფინანსური პოზიცია	(662,685)	(14,560,367)	(1,541,146)	(17,557,272)

ჯგუფი სავალუტო რისკის მგრძნობელობას ანგარიშობს შესაბამისი უცხოური ვალუტების ლარის მიმართ 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოური ვალუტის მიმართ მგრძნობელობას.

	აშშ დოლარ/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) 2023	(132,537)	132,537	(2,912,073)	2,912,073
მოგება/(ზარალი) 2022	(308,229)	308,229	(3,511,454)	3,511,454

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალეზადი განაკვეთის ვალდებულებების შემთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულებების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში.

	2023		2022	
	ზრდა 1%-ით	შემცირება 1%-ით	ზრდა 1%-ით	შემცირება 1%-ით
მოგება/(ზარალი)	(62,912)	62,912	(72,726)	72,726

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ერთი ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის. მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოტეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს ჯგუფის მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, გაცემული სესხებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლსა და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	2023	2023
სხვა ფინანსური მოთხოვნები	23,802,586	23,802,586
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	217,567	93,198
გაცემული სესხები გაუფასურების გამოკლებით	745,721	723,431
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულის	6,858,950	12,211,194
სულ	31,624,824	36,830,409

სხვა ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო რისკი კონცენტრირებულია ერთ კონტრაგენტთან. გაცემული სესხების საკრედიტო რისკი კონცენტრირებულია დაკავშირებულ მხარეებთან. ფული და ფულის ეკვივალენტები დივერსიფიცირებულია საქართველოს ორ მსხვილ ბანკში.

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები მომავალში გადასახდელი ფულადი ნაკადები გაანგარიშებულია საანგარიშგებო წლის ბოლოს დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მიღებული სესხების მომავალი ფულადი ნაკადები ასახავს სესხთან დაკავშირებულ გადახდებს ურთიერთგადახურული ფული და ფულის ეკვივალენტების გამოკლებით. იხილეთ შენიშვნა 19.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ლიკვიდურობის ანალიზს.

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
უპროცენტო ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,272,353	-	-	3,272,353
ფინანსური ვალდებულებები პროცენტით				
სესხები	3,535,534	3,842,781	90,408	7,468,723
საიჯარო ვალდებულება	1,838,217	12,254,436	5,217,189	19,309,842
სულ ფინანსური ვალდებულებები 2023	8,646,104	16,097,217	5,307,597	30,050,918
უპროცენტო ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,819,776	-	-	2,819,776
ფინანსური ვალდებულებები პროცენტით				
სესხები	4,960,766	3,664,239	1,746,846	10,371,851
საიჯარო ვალდებულება	3,966,337	13,134,212	7,947,964	25,048,513
სულ ფინანსური ვალდებულებები 2022	11,746,879	16,798,451	9,694,810	38,240,140

6. თამაშებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი

	2023	2022
მოგება მაგიდებიდან	19,452,248	25,511,597
მოგება სათამაშო აპარატებიდან	10,038,604	8,874,026
	29,490,852	34,385,623
მოთამაშეებზე გაცემული ჯილდო	(9,046,997)	(8,247,539)
	20,443,855	26,138,084
სტუმრების ტრანსპორტირებისა და განთავსების ხარჯები		
სტუმრებზე ტრანსპორტირების ხარჯი	(1,462,699)	(2,146,595)
სტუმრების განთავსების ხარჯი	(1,445,333)	(1,645,494)
სტუმრების გამასპინძლების ხარჯი	(1,326,121)	(1,532,919)
სხვა ხარჯი	(140,917)	(272,949)
სულ	(4,375,070)	(5,597,957)
წმინდა შემოსავალი კაზინოს საქმიანობიდან	16,068,785	20,540,127

ჯგუფი ტურიზმის ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

7. ამონაგები

	2023	2022
ამონაგები საბაგრო გზიდან	5,821,514	6,199,742
ამონაგები სარესტორნო მომსახურებიდან	5,264,262	5,020,562
საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონების გაქირავებიდან	504,753	351,441
ამონაგები პროდუქციის გადაყიდვიდან	-	793,796
სხვა	142,701	151,150
სულ	11,733,230	12,516,691

ჯგუფი საიჯარო საქმიანობა მოიცავს დაკავშირებულ და არადაკავშირებულ მხარეებზე უძრავი ქონების გაქირავებას (იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 23). დაკავშირებულ მხარეებზე იჯარა გაცემულია 5-10 წლიანი ვადით. ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები არის ფიქსირებულ ფასიანი და მოიცავს შეწყვეტის უფლებას მხარეთა წინასწარი შეტყობინებით 1-დან 3 თვემდე. იჯარის ობიექტთან დაკავშირებული რისკების მართვისთვის ჯგუფი იტოვებს წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შეწყვეტის უფლებას. ჯგუფმა 2023 წელს განავითარა საინვესტიციო ქონება და შესაბამისად გაზარდა ყოველთვიური საიჯარო გადასახდელი სასტუმროს შენობის იჯარიდან. ჯგუფის მომავალი საიჯარო შემოსავალი ფიქსირებულფასიანი ხელშეკრულებებიდან მოიცავს 480,000 ლარს თითოეული წლისთვის, თუ არ მოხდა მხარეთა შეთანხმებით საიჯარო ვალდებულების შეწყვეტა ან სხვა პირობების მოდიფიკაცია. საიჯარო შემოსავალთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს საინვესტიციო ქონების ცვეთას (შენიშვნა 13) და საინვესტიციო ქონების საფუძველზე აღიარებულ ქონების გადასახადს (შენობის საშუალო საბალანსო ღირებულების 1% დამატებული მიწის გადასახადი).

8. სხვა ხარჯები

	2023	2022
სარესტორნო მარაგების ხარჯვა	(1,625,336)	(1,683,217)
ქონების და სხვა გადასახადები	(797,243)	(836,213)
კომუნალური ხარჯი	(503,080)	(646,059)
გადახდის აპარატის საკომისიო	(377,244)	(372,021)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(326,698)	(314,247)
დასუფთავების ხარჯები	(315,442)	(227,033)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	(290,577)	(173,043)
სათამაშო აქსესუარების ხარჯი	(220,952)	(103,507)
დაზღვევის ხარჯი	(94,414)	(114,069)
კომუნიკაციის ხარჯი	(78,039)	(47,533)
დაცვის ხარჯი	(71,598)	(77,724)
სხვა	(791,826)	(646,535)
	(5,492,449)	(5,241,201)
გადაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	-	(1,151,878)
სულ	(5,492,449)	(6,393,079)

საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯში ფინანსურსი ანგარიშგების აუდიტის მომსახურების ხარჯი 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენს 67,000 ლარს.

9. მოგება საინვესტიციო ქონების გასვლიდან

	2022
გასვლა შპს უძრავი ქონების მართვის კომპანიის 100%-იანი წილის გადაცემით	1,573,019
გასვლა უძრავი ქონების გადაცემით	7,412,988
სულ მოგება საინვესტიციო ქონების გასვლიდან	8,986,007

2022 წელს კომპანიამ შეიღობილი კომპანიის, „შპს უძრავი ქონების მართვის კომპანია“, 100%-იანი წილის რეალიზაციით გაყიდა ჯგუფის მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ქონებაში წარდგენილი მიწები საბალანსო ღირებულებით 22,229,567 ლარი. გაყიდვის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 23,802,586 ლარს და მისი დაფარვის პერიოდის 5 წელი. აღნიშნული საინვესტიციო ქონების გასვლიდან ჯგუფმა აღიარა მოგება 1,573,019 ლარი.

დამატებით 2022 წელს ჯგუფმა გაყიდა საინვესტიციო ქონებაში წარდგენილი მიწა საბალანსო ღირებულებით 2,782,800 ლარი. გაყიდვის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 10,195,788 ლარს და 31.12.2022 მდგომარეობით თანხა სრულად მიღებულია.

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. წმინდა საპროცენტო ხარჯები

	2023	2022
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	(1,344,907)	(1,650,878)
საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე	(659,619)	(642,028)
გაცემულ სესხებზე დარიცხული შემოსავალი	26,784	46,539
საბანკო ანგარიშზე დარიცხული შემოსავალი	200,023	105,480
	(1,777,719)	(2,140,887)

11. ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებული ხარჯები

ჯგუფმა 2022 წელს სხვა მხარეებთან ერთად დაარსა GOB Foundation ლიხტენშტეინის კანონმდებლობის ქვეშ. ჯგუფს აქვს ერთობლივი კონტროლი GOB Foundation-ზე. ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს მიზანია ონლაინ აზარტული თამაშების საქმიანობის დაწყება. ერთობლივად კონტროლირებადი საწარმო აღირიცხება წილობრივი მეთოდით.

წილობრივი მეთოდის გამოყენების შემდეგ, ერთობლივი საწარმოს ზარალის წილის აღიარების შემდეგ, ხელმძღვანელობამ გამოიყენა მსჯელობა იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ერთობლივ საწარმოში კუთვნილი მისი ნეტო ინვესტიცია გაუფასურებულია. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შეიძლება ჯგუფმა ვერ აინაზღაუროს წილობრივ ინსტრუმენტში განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულება.

გაუფასურებაზე შემოწმდება ამ ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება, როგორც ერთი აქტივის საბალანსო ღირებულება, მისი ანაზღაურებადი ღირებულების (რომელიც არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის) შედარების გზით საბალანსო ღირებულებასთან. გაუფასურებაზე შემოწმების შედეგად ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები გაუფასურდა სრულად.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთობლივ საწარმოს არ რჩება არსებითი აქტივები და ვალდებულებები. 2023 წელს ერთობლივი საწარმოს საქმიანობის შედეგი იყო სრული ზარალი 629,896 ლარი (2022: 1,100,668 ლარი), რომელიც არსებითად შეადგენს მიმდინარე პერიოდის ხელფასის ხარჯებს. ცხრილი გვიჩვენებს ერთობლივი საწარმოს საბალანსო ღირებულების მოძრაობას.

	2023	2022
1 იანვარი	-	-
შენატანი ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში	604,621	1,046,014
ზარალის წილი ერთობლივ საწარმოში	(314,948)	(550,334)
ერთობლივი საწარმოს გაუფასურება	(289,673)	(495,680)
სულ ინვესტიციები 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-

12. ძირითადი საშუალებები

2022 წელს ჯგუფმა გადაწყვიტა საკუთრებაში არსებულ მიწა და შენობაზე სასტუმროს განვითარება და დაიწყო შესაბამისი ნებართვის მიღებაზე სამუშაოები. დანიშნულების ცვლილების საფუძველზე, ჯგუფმა აღნიშნული მიწა და შენობა საინვესტიციო ქონებიდან გადმოიტანა ძირითად საშუალებებში. 2023 წელს ჯგუფმა დაიწყო მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოები, რის საფუძველზე შენობის ისტორიული ღირებულება და დაგროვილი ცვეთა გადახურა და წმინდა საბალანსო ღირებულება გადაიტანა დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე.

ქვემოთ მოცემული ძირითადი საშუალებების ცხრილი გვიჩვენებს 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფას. ჯგუფს არ შეუძლია აღნიშნული აქტივების გაყიდვა ან გამოყენება იპოთეკის საგნად გამსესხებლის თანხმობის გარეშე.

საბალანსო ღირებულება	მიწა	შენობა	საბაგირო გზა	ოფისის აქტივები	სულ
31.12.2022	22,260	9,318,896	2,355,146	140,154	11,836,456
31.12.2023	22,260	9,153,032	2,250,627	220,772	11,646,691

ჯგუფმა გადახედა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს. გაითვალისწინა აქტივების მდგომარეობა, ექსპლუატაციის პირობები, ტექნიკური შემოწმების შედეგები, საჯაროდ ხელმისაწვდომი პუბლიკაციები და ჯგუფის სტრატეგია აქტივების გამოყენებასთან დაკავშირებით. შედეგად, საბაგირო გზის აღჭურვილობაზე მომსახურების ვადა გაიზარდა 12-იდან 25-წლამდე. მომსახურების ვადის ცვლილების გავლენით აღჭურვილობის ყოველწლიური ცვეთის ხარჯი შემცირდა 617,000 ლარით.

ჯგუფი ტურიზმის ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

12. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

	მიწა	შენობა	საბაგირო გზა	სათამაშო მაგიდები და სხვა აქტივები	რესტორნის ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა და სხვა აქტივები	იჯარის რემონტი	მიმდინარე შენებლობა	სულ
31.12.2021	22,260	11,517,818	8,719,295	1,888,237	425,398	557,963	3,799,575	-	26,930,546
შემოსვლა	-	137,434	73,518	337,684	224,919	60,443	-	-	833,998
გადმოსვლა	1,506,080	1,900,844	-	40,000	-	-	-	-	3,446,924
გასვლა	-	(45,348)	-	(1,123,324)	-	(196,259)	(580)	-	(1,365,511)
31.12.2022	1,528,340	13,510,748	8,792,813	1,142,597	650,317	422,147	3,798,995	-	29,845,957
შემოსვლა	-	69,205	39,847	13,176	160,996	275,495	-	304,543	863,262
შიდა გადაადგილება	-	(2,015,592)	-	-	-	-	-	1,510,552	(505,040)
გასვლა	-	-	-	-	(214,597)	-	-	-	(214,597)
31.12.2023	1,528,340	11,564,361	8,832,660	1,155,773	596,716	697,642	3,798,995	1,815,095	29,989,582
31.12.2021	-	(1,941,896)	(5,676,271)	(1,165,505)	(370,336)	(158,637)	(785,621)	-	(10,098,266)
ცვეთა	-	(234,364)	(761,396)	(188,213)	(45,543)	(101,770)	(344,615)	-	(1,675,901)
გადმოსვლა	-	(505,040)	-	-	-	-	-	-	(505,040)
გასვლა	-	-	-	1,091,874	-	193,278	238	-	1,285,390
31.12.2022	-	(2,681,300)	(6,437,667)	(261,844)	(415,879)	(67,129)	(1,129,998)	-	(10,993,817)
ცვეთა	-	(235,069)	(144,366)	(198,700)	(96,701)	(105,542)	(344,578)	-	(1,124,956)
შიდა გადაადგილება	-	505,040	-	-	-	-	-	-	505,040
გასვლა	-	-	-	-	214,597	-	-	-	214,597
31.12.2023	-	(2,411,329)	(6,582,033)	(460,544)	(297,983)	(172,671)	(1,474,576)	-	(11,399,136)
31.12.2022	1,528,340	10,829,448	2,355,146	880,753	234,438	355,018	2,668,997	-	18,852,140
31.12.2023	1,528,340	9,153,032	2,250,627	695,229	298,733	524,971	2,324,419	1,815,095	18,590,446

13. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა	სულ
31.12.2021	29,624,686	7,400,466	37,025,152
შემოსვლა	-	44,012	44,012
გადმოსვლა მარაგებიდან	-	494,294	494,294
გადასვლა ძირითად საშუალებებში	(1,506,080)	(1,900,844)	(3,406,924)
გასვლა	(25,012,367)	-	(25,012,367)
31.12.2022	3,106,239	6,037,928	9,144,167
შემოსვლა	-	551,730	551,730
31.12.2023	3,106,239	6,589,658	9,695,897
დაგროვილი ცვეთა			
31.12.2021	-	(1,358,579)	(1,358,579)
ცვეთა	-	(157,941)	(157,941)
გადასვლა ძირითად საშუალებებში	-	505,040	505,040
31.12.2022	-	(1,011,480)	(1,011,480)
ცვეთა	-	(120,398)	(120,398)
31.12.2023	-	(1,131,878)	(1,131,878)
საბალანსო ღირებულება			
31.12.2022	3,106,239	5,026,448	8,132,687
31.12.2023	3,106,239	5,457,780	8,564,019

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება შეესაბამება მის საბალანსო ღირებულებას.

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

13. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება მოიცავს მიწა და შენობას, რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების და ღირებულების ზრდის მიზნით. საინვესტიციო ქონების ცვეთა, რომელიც არ არის იჯარით გაცემული შეადგენს 30,000 ლარს. საიჯარო საქმიანობის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 7.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება საბალანსო ღირებულებით 3,753,977 ლარი (2022: 3,829,890 ლარი) წარმოადგენდა ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხების უზრუნველყოფას. ჯგუფს არ შეუძლია აღნიშნული აქტივების გასხვისება სესხის გამცემის თანხმობის გარეშე. ჯგუფს არ შეუძლია აღნიშნული აქტივების გაყიდვა ან გამოყენება იპოთეკის საგნად გამსესხებლის თანხმობის გარეშე.

ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიტანს ქონებას საინვესტიციო ქონების კატეგორიაში ან პირუკუ, როდესაც იცვლება ქონების გამოყენების ხასიათი. ქონების გამოყენების ხასიათი მაშინ იცვლება, როდესაც ქონება უკვე აკმაყოფილებს, ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას და არსებობს მტკიცებულებები იმისა, რომ შეიცვალა მისი გამოყენების ხასიათი. ხელმძღვანელობის განზრახვის შეცვლა, ქონების გამოყენების წესთან მიმართებით, თავისთავად არ არის მტკიცებულება იმისა, რომ შეიცვალა ქონების გამოყენების ხასიათი. იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფი გადაწყვეტს საინვესტიციო ქონების გაყიდვას რეკონსტრუქციის გარეშე, იგი ობიექტს კვლავ ასახავს, როგორც საინვესტიციო ქონებას მანამდე, სანამ არ შეწყვეტს მის აღიარებას და არ ახდენს მის რეკლასიფიკაციას მარაგის შემადგენლობაში.

14. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება

ცხრილი გვიჩვენებს აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობას:

	2023	2022
1 იანვარი	14,495,455	16,723,233
გადასვლა ძირითად საშუალებებში	-	(40,000)
იჯარის მოდიფიკაცია	(1,063,557)	-
ამორტიზაცია	(2,025,838)	(2,187,778)
31 დეკემბერი	11,406,060	14,495,455

ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულების მოძრაობას.

	2023	2022
1 იანვარი	19,035,422	25,584,369
იჯარის მოდიფიკაცია	(1,063,557)	-
საპროცენტო ხარჯი	1,344,907	1,650,878
გადახდა	(5,000,120)	(4,077,915)
საკურსო სხვაობა	375,728	(4,121,910)
31 დეკემბერი	14,692,380	19,035,422

ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულება მოიცავს საოპერაციო საქმიანობისთვის იჯარით აღებულ შენობის ფართს, სადაც მოწყობილია კაზინო და რესტორანი და რომელიც მიღებულია დაკავშირებული მხარისგან. კაზინოს ფართის იჯარის სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 წლიან პერიოდს, ხოლო რესტორნის ფართის - 5 წლიან პერიოდს. ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. რესტორნის ფართის საიჯარო გადასახდელები გადაიხდება 2023 წლის აგვისტოში, რაც აღირიცხა, როგორც იჯარის მოდიფიკაცია.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს იჯარის ვადას, ზღვრულ სასესხო განაკვეთს და საიჯარო გადასახდელებს 2023 წლის 31 დეკემბრისთვის.

	არაგაუქმებადი პერიოდი	გაგრძელების უფლება	იჯარის ვადა	IBR წლისთვის	თვიური გადასახდელი
რესტორნის ფართი	3 თვე	27 თვე	30 თვე	6.4%	USD 6,805
კაზინოს ფართი	81 თვე	-	81 თვე	8,37%	EUR 83,333

ჯგუფს არ გააჩნია მიღებული სესხები მსგავსი პირობებით მიმდინარე ან შესადარის პერიოდში. სესხის პროცენტის განსაზღვრისთვის გამოიყენა დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის. ჯგუფს აქვს კაზინოს სათამაშო აპარატები საიჯარო ხელშეკრულებით. აღნიშნულ იჯარებს ხელმძღვანელობა განიხილავს მოკლევადიან იჯარებად, რადგან მათი ჩანაცვლება შესაძლებელია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალის გარეშე. აღნიშნული საიჯარო გადასახდელები წარდგება მოგება ზარალში, როგორც მოკლევადიანი იჯარის ხარჯი.

ჯგუფი ტურივესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

15. სხვა ფინანსური მოთხოვნები

2022 წელს ჯგუფმა გაყიდა ჯგუფის მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ქონებაში წარდგენილი მიწები საბალანსო ღირებულებით 22,229,567 ლარი. გაყიდვის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 23,802,586 ლარს და მისი დაფარვის პერიოდის 5 წელი. აღნიშნული საინვესტიციო ქონების გასვლიდან ჯგუფმა 2022 აღიარა მოგება 1,573,019 ლარი. ხელმძღვანელობა არ განიხილავს ფინანსურ მოთხოვნას საკრედიტოდ გაუფასურებულს, შესაბამისად გაუფასურების ხარჯი არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

16. მარაგები

	2023	2022
სასმელები	209,382	221,337
საკვები	115,324	70,776
სხვა	326,710	136,332
	651,416	428,445

17. გაცემული სესხები

	2023	2022
სრულად გაუფასურებული სესხები	161,590	161,590
სხვა	745,721	723,431
საეჭვო ვალების რეზერვი	(161,590)	(161,590)
წმინდა მოთხოვნა გაცემული სესხებიდან	745,721	723,431

ცხრილი გვიჩვენებს გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობას.

	2023	2022
ბალანსი წლის დასაწყისში	(161,590)	(5,610,000)
ჩამოწერილი სესხის რეზერვის აღდგენა	-	(513,056)
გაუფასურების აღდგენა	-	5,961,466
სულ 31 დეკემბრის მდგომარეობით	(161,590)	(161,590)

სრულად გაუფასურებული სესხები გაცემულია დაკავშირებულ მხარეზე. ხელშეკრულების პირობის მიხედვით, სესხის გრძელვადიანი ნაწილი უნდა დაფარულიყო 2017 წელს. ხელმძღვანელობამ განიხილა სესხის მიმღების ფინანსური მდგომარეობა, საქმიანობის შედეგები, ფულადი ნაკადების მოძრაობა და მიიჩნევს, რომ სესხი არის საკრედიტოდ გაუფასურებული სრულად. 2022 წელს ჯგუფმა აღადგინა სრულად გაუფასურებული სესხების ნაწილი, რომელიც სრულად დაიფარა კონტრაგენტის მიერ.

სხვა სესხები გაცემულია დაკავშირებულ მხარეზე, რომლის მიმართ ჯგუფს გააჩნია ფინანსური ვალდებულება. ჯგუფი არ აღიარებს გაუფასურების ანარიცხს სხვა სესხზე, რადგან არ გააჩნია აღნიშნული ფინანსური აქტივების საკრედიტო გაუფასურების გამოცდილება. სუბორდინირებული ფინანსური აქტივის შესახებ ინფორმაცია იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 23-ში.

18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	334,418	193,255
საეჭვო ვალების რეზერვი	(116,851)	(100,057)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	217,567	93,198
წინასწარ გადახდილი კაზინოს მოსაკრებელი	710,000	830,000
წინასწარ გადახდილი გადასახადები	587,906	514,504
სხვა გადახდილი ავანსები	933,135	687,150
სულ მოთხოვნები	2,448,608	2,124,852

ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობას.

	2023	2022
ბალანსი წლის დასაწყისში	(100,057)	(100,057)
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	(16,794)	-
სულ 31 დეკემბრის მდგომარეობით	(116,851)	(100,057)

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე. ჯგუფი ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც ჯგუფი საქმიანობს.

19. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2023	2022
ფული ფინანსურ ინსტიტუტებში უცხოურ ვალუტაში	5,581,245	4,805,294
ფული ფინანსურ ინსტიტუტებში ლარში	1,277,705	7,405,900
შეზღუდული ფული	1,317,806	2,485,840
ფული სალაროში	1,626,607	1,279,710
	9,803,363	15,976,744
ურთიერთგადახურვა მიღებულ სესხებთან	(1,317,806)	(2,485,840)
სულ	8,485,557	13,490,904

შეზღუდული ფული მოიცავს ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფისთვის დაბლოკილ თანხას. ჯგუფს არ შეუძლია აღნიშნული თანხის გამოყენება სესხების დახურვამდე ან არსებით შემცირებამდე. ჯგუფის დაბლოკილი თანხა განთავსებულია იმავე ფინანსურ ინსტიტუტში, რომლისგანაც აღებულია სესხები. სესხის დაფარვა და ფინანსური ინსტიტუტში განთავსებული დაბლოკილი თანხის გამოთავისუფლება მოხდება ერთდროულად, შესაბამისად ფული და ფულის ეკვივალენტები ჯგუფმა ურთიერთგადახურა მიღებულ სესხებთან. აღნიშნული არ არის შეზღუდული იურიდიულად. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ურთიერთგადახურვა წარდგენილია, როგორც მიღებული სესხების გადახდა.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს გააჩნდა უცხოური ვალუტის ფორვარდული ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც 2023 წლის 11 იანვარს 2,400,000 აშშ დოლარი უნდა შეეძინა წინასწარ შეთანხმებული კურსით. აღნიშნული ხელშეკრულების უზრუნველყოფას წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტებში ეროვნულ ვალუტაში განთავსებული თანხა საბალანსო ღირებულებით 6,440,000 ლარი. უცხოური ვალუტის ფორვარდულ კონტრაქტს, რომელიც წარმოადგენს წარმოებული ინსტრუმენტის სახეობას და კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულია რეალური ღირებულებით, ხოლო რეალური ღირებულების ცვლილება აღიარებულია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯგუფი არ ფლობს უცხოური ვალუტის ფორვარდულ კონტრაქტებს ჰეჯირების მიზნით. უცხოური ვალუტის ხელშეკრულების რეალური ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არაარსებითია და არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

20. მიღებული სესხები

	2023	2022
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	2,852,349	3,310,873
სულ გრძელვადიანი სესხები	2,852,349	3,310,873
	2023	2022
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	1,134,942	3,685,787
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი	2,121,025	1,475,931
სულ მოკლევადიანი სესხები	3,255,967	5,161,718

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების ხელშეკრულებები შეიცავს ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვებს. ძირითადი ფინანსური შეზღუდვები რომელიც მოქმედებს 2023 წლის ბოლოს არსებული ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების ვალდებულებებისთვის არის შემდეგი:

- ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს ცვეთის, ამორტიზაციის და საპროცენტო ხარჯის გამოკლებამდე არსებული მოგების (EBIDA) 4.8-ზე მეტი;
- სესხის მიმდინარეობისას შენარჩუნებული უნდა იყოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR) მინიმუმ 1.2 დონეზე;

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

19. სესხები (გაგრძელება)

ფინანსური შეზღუდვები დაწესებულია შვილობილების მიერ მიღებულ სესხებზე და იანგარიშება შვილობილი კომპანიის ფინანსური ინფორმაციიდან. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ვერ აკმაყოფილებდა ცალკეულ სესხზე დაწესებულ შეზღუდვებს. ფინანსური შეზღუდვების დარღვევის შემთხვევაში გამსესხებელს წარმოეჩმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს სესხების სრული ან ნაწილობრივ დაფარვა ვადაზე ადრე. შესაბამისად, ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი 85,000 ლარი წარდგენილია როგორც მოკლევადიანი. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამსესხებელს არ გამოუყენებია აღნიშნული უფლება.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფილის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 12 და 13. ფინანსური ინსტიტუტის სასარგებლოდ დაგირავებულია ჯგუფის საკუთრებაში არსებული და სამომავლო მთელი მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.

ცხრილი გვიჩვენებს მიღებული სესხების მოძრაობას.

	2023	2022
1 იანვარი	8,472,591	16,455,523
სესხების აღება	1,673,592	1,380,713
საპროცენტო ხარჯი	659,619	642,028
პროცენტის დაფარვა	(634,288)	(590,237)
ურთიერთგადახურვა ფული და ფულის ეკვივალენტებთან	-	(2,485,840)
სესხების დაფარვა	(4,255,198)	(4,800,325)
საკურსო სხვაობის გავლენა	192,000	(2,129,271)
31 დეკემბერი	6,108,316	8,472,591

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	1,140,890	710,180
გაუნაღდელები ჩიპები	980,808	1,359,507
სახელფასო ვალდებულება	1,150,655	750,089
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,272,353	2,819,776
წინასწარ მიღებული საიჯარო გადასახდელები	1,219,787	960,694
საგადასახადო ვალდებულებები	213,091	463,996
სხვა ვალდებულება	-	285,537
სულ არაფინანსური ვალდებულებები	1,432,878	1,710,227
სულ	4,705,231	4,530,003

22. არამაკონტროლებელი წილი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამაკონტროლებელი წილი ფლობდა Formulati Consulting AB 20%-იან წილს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით Formulati Consulting AB წარმოადგენდა OOO Formulati მშობელ საწარმოს, რომელშიც ფლობდა 100%-იან წილს (იხილეთ შენიშვნა 24). 2022 წელს ჯგუფმა შეიძინა არამაკონტროლებელი მხარისგან 20%-იანი წილი ჯამური თანხით 27,136. სხვაობა არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებას და გადახდილ თანხას შორის აღიარდა კაპიტალში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამაკონტროლებელი წილი ფლობდა Formulati Consulting AB 20%-იან წილს და შპს გრიინ ინვესტის 34%-იან წილს. 2023 წელს ჯგუფმა მფლობელის გადაწყვეტილებით არამაკონტროლებელ წილს ანაზღაურების გარეშე გადასცა შპს გრიინ ინვესტის 34%-იანი წილი. სხვაობა არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებას და გადახდილ თანხას შორის აღიარდა კაპიტალში.

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

22. არამაკონტროლებელი წილი (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს შპს გრინ ინვესტის და Formulati Consulting AB ფინანსურ ინფორმაციას აქტივების და ვალდებულებების შესახებ.

	გრინ ინვესტი 2023	ფორმულატი 2023	ფორმულატი 2022
ძირითადი საშუალებები	333,067	-	-
აქტივების გამოყენების უფლება	489,748	-	-
არამატერიალური აქტივები	8,854	-	-
მარაგები	185,252	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,535	-	60,120
ფული და ფულის ეკვივალენტები	141,595	109,071	117,549
სულ აქტივები	1,169,051	109,071	177,669
მიღებული სესხები	663,150	-	-
საიჯარო ვალდებულებები	528,334	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	230,928	-	261,288
სულ ვალდებულებები	1,422,412	-	261,288

ცხრილი გვიჩვენებს შპს გრინ ინვესტის და Formulati Consulting AB შემაჯამებელ ფინანსური ინფორმაციას საქმიანობის შედეგების შესახებ.

	გრინ ინვესტი 2023	ფორმულატი 2023	ფორმულატი 2022
ამონაგები	2,701,482	-	-
პერსონალის ხარჯები	(1,187,111)	-	-
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	(255,894)	-	-
სხვა ხარჯები	(1,005,741)	-	(297,542)
წმინდა საპროცენტო ხარჯები	(78,777)	-	-
წმინდა მოგება საკუთროს სხვაობიდან	41,302	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	215,261	-	(297,542)
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	-	192,690	(12,207)
წმინდა მოგება/(ზარალი)	215,261	192,690	(309,749)
წმინდა მოგება/(ზარალი) არამაკონტროლებელ წილზე	73,189	38,538	(61,950)

23. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

	2023	2022
ნაშთები		
გაცემული სესხი	745,721	723,431
სავაჭრო მოთხოვნები	121,782	-
სხვა ავანსები	536,500	536,435
სესხები	1,134,942	3,685,787
საიჯარო ვალდებულება	14,692,379	19,035,422
წინასწარ მიღებული საიჯარო გადასახდელები	1,165,254	960,694
სავაჭრო ვალდებულებები	75,371	-
ოპერაციები		
შემოსავალი იჯარიდან	321,965	247,924
სტუმრების ტრანსპორტირებისა და სასტუმროს ხარჯები	(1,438,208)	(1,611,820)
სხვა ხარჯები	(27,384)	(3,729)
საპროცენტო ხარჯი	(1,344,907)	(1,681,564)
ფინანსური აქტივების გაუფასურების აღდგენა	-	5,961,466
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	(992,503)	(1,396,433)
ოპერაციები მფლობელების გადაწყვეტილებით		
ფულის და ფულის ეკვივალენტების განაწილება	(78,947)	(61,920)

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

23. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებული მხარეები მოიცავს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებს და მფლობელის ოჯახის წევრების კონტროლ ქვეშ მყოფ კომპანიებს. ჯგუფის კომპანიებს შორის ოპერაციები არის ელიმინირებული და არ არის განმარტებული.

2023 წელს ჯგუფმა მფლობელის გადაწყვეტილებით არამაკონტროლებელ წილს ანაზღაურების გარეშე გადასცა შპს გრიონ ინვესტიის 34%-იანი წილი. სხვაობა არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებას და გადახდილ თანხას შორის აღიარდა კაპიტალში.

2023 და 2022 წელს ჯგუფმა მესამე მხარეზე გასცა ფული და ფულის ეკვივალენტები. ოპერაცია განხორციელდა ჯგუფის ბენეფიციარი მფლობელის გადაწყვეტილებით. შესაბამისად, ჯგუფმა ოპერაციის ეფექტი განიხილა, როგორც მფლობელებთან ოპერაცია და წარადგინა კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 17-ში.

ჯგუფმა 2020 წელს შეიძინა სუბორდინირებული ფინანსური აქტივი 3,806,294 ევროდ. ფინანსური აქტივი სუბორდინირებულია ემიტენტის სასესხო ვალდებულების მიმართ, რომლის დაფარვის ვადა არის 2031 წელი (3,806,294 ევრო სახელშეკრულებო ღირებულებით). ფინანსური აქტივის ემიტენტი და გამყიდველი წარმოადგენს ჯგუფის დაკავშირებულ მხარეს. ჯგუფმა აღნიშნული ფინანსური აქტივი განიხილა, როგორც საკრედიტოდ გაუფასურებული საწყისი აღიარებისას. ჯგუფი საკრედიტოდ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივს საწყისად აღიარებს რეალური ღირებულებით, რომელიც არსებითად უტოლდება ნულს.

24. შეწყვეტილი ოპერაციები

2023 წლის დასაწყისში Formulati Consulting AB გაყიდა OOO Formulati-ის 80%-იანი წილი და დაიტოვა 19% წილი. ჯგუფმა წილის გადაცემა განიხილა, როგორც შეწყვეტილი ოპერაცია, რადგან გასული კომპონენტი მოიცავს ისეთ ოპერაციებსა და ფულად ნაკადებს, რომელთა ნათლად გამოჯვანა, ოპერაციულად და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, შესაძლებელია საწარმოს დანარჩენი ნაწილისაგან. გასული კომპონენტი გამოყენების პერიოდში იყო ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული.

ცხრილი გვიჩვენებს შეწყვეტილი ოპერაციების ეფექტს.

	2023
გადაცემის ღირებულება	1,449
გადაცემული წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულება	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(56,920)
ფული და ფულის ეკვივალენტები	(8,457)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	256,618
შეწყვეტილი ოპერაციების გასვლის შედეგი	192,690

ცხრილი გვიჩვენებს შედეგს შეწყვეტილი ოპერაციებიდან.

	2023	2022
ამონაგები	-	477,091
საკონსულტაციო სერვისის თვითღირებულება	-	(489,298)
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	192,690	-
წლის მოგება/(ზარალი)	192,690	(12,207)

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

25. პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ჯგუფს გააჩნდა დავა შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებით ყოფილ თანამშრომლებთან. სასამართლო დავასთან დაკავშირებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანარიცხი აღიარებული იყო სრულად სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ჯამურად 50,000 ლარი. 2023 წელს დავა დასრულდება ჯგუფისთვის არასასურველი შედეგით. ჯგუფს დაეკისრა 162,000 ლარი ანაზღაურება. სადაო თანხის ცვლილება აღიარდა, როგორც ანარიცხის ცვლილების ხარჯი სახელფასო ხარჯების მუხლში.

ჯგუფს გააჩნდა დავა საგადასახადო ორგანოსთან. დავის თანხის საერთო ოდენობა შეადგენს 2,500,000 ლარს, რომელიც შედგება ძირისგან, ჯარიმისგან და საურავისგან შესაბამისად 1,033,000; 517,000; 950,000 ლარისგან. სააპელაციო სასამართლო დასრულდა ჯგუფის სასარგებლოდ. საქმემ გადაინაცვლა უზენაეს სასამართლოში. ხელმძღვანელობის შეფასებით უფრო მოსალოდნელია, რომ დავა დასრულდება ჯგუფის სასარგებლოდ ვიდრე პირიქით. აღნიშნულ სასამართლო დავასთან დაკავშირებით ჯგუფს 2023 წლის მდგომარეობით აღიარებული აქვს ანარიცხი ჯამური თანხით 54,975 ლარი (2022: 54,975 ლარი).

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში. პირობითი მოგების გადასახადი დაგროვილ მოგებაზე შეადგენს 465,862 ლარს (2022: 604,372 ლარი).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

ჯგუფს 2009 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსგან გადაეცა მიწები და მასზე განთავსებული შენობა, პირობითი ვალდებულებით. ხელშეკრულების შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია უზრუნველყოფს გასართობი ცენტრის და საბაგირო გზის გამართული ფუნქციონირება გახსნიდან არანაკლებ 15 წლის განმავლობაში (2030 წლამდე).

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ჯგუფმა აქტიურად განაგრძო სასტუმროს მშენებლობა. ხელმძღვანელობის შეფასებით პროექტის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 7 მილიონ აშშ დოლარს, რომელიც ფინანსდება საკუთარი კაპიტალით და ფინანსური ინსტიტუტიდან მოზიდული სახსრებით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ჯგუფმა შპს გრინ ინვესტში არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე გაანაწილა დივიდენდი 55,000 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ჯგუფმა გასცა სესხის დაკავშირებულ მხარეზე ჯამურად 3,240,000 (1,200,000 აშშ დოლარი).

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ცვლილება შევიდა კანონი აზარტული თამაშების შესახებ, რომლის მიხედვითაც სათამაშო აპარატებზე მომხმარებლების მიერ მოგებული თანხა გადახდის წყაროსთან დაბეგვრას ექვემდებარება 5 % ის ოდენობით, ხოლო ჯგუფის მიერ აზარტული თამაშებიდან მოგებული თანხა 15%-ის ოდენობით. ხელმძღვანელობას არ შეუფასებია მოსალოდნელი გავლენა ჯგუფის სამომავლო ფინანსურ შედეგებზე.

ჯგუფი ტურინვესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

ჯგუფის საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები

შპს ტურინვესტ ჯგუფი არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი, რუსთაველის ქ., N 20. კომპანიის ბენეფიციარი მფლობელია არის ბატონი კლიმენტი ქასრაძე, რომელიც ფლობს კომპანიის 100%-იან წილს 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ინვესტიციების განხორციელება კომპანიებში. კომპანია წარმოადგენს ჯგუფის შშობელ კომპანიას. შვილობილი კომპანიების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 1 განმარტებით შენიშვნაში.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის საქართველოში ქალაქ ბათუმში მომხმარებლებისათვის, რესტორნის, საბაგირო გზის და კაზინოს მომსახურების მიწოდება.

ჯგუფის სამორინე და რესტორანი განთავსებულია ქ. ბათუმში, რუსთაველის ქუჩა №40-ში, სასტუმრო „ჰილტონ ბათუმის“ მე-2 სართულზე, ფართი ჯგუფს იჯარით აქვს აღებული შპს „ტურინვესტი“-სგან.

ჯგუფის მთავარი მიზანია მაქსიმალურად მაღალი ხარისხის მომსახურება შესთავაზოს აზარტული თამაშების მომსახურებით დაინტერესებულ პირებს, გასწიოს მაღალი ხარისხის სარესტორნო მომსახურება. ჯგუფი ორიენტირებულია გარე ბაზრიდან მოიზიდოს მომხმარებლები, რათა ამით ხელი შეუწყოს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას.

გარე ბაზრიდან მოწვეულ სტუმრებს, განთავსებს სასტუმრო „ჰილტონ ბათუმში“, გარდა ძირითადი მომსახურებისა, რიგ შემთხვევებში მომხმარებლებს (ჯგუფის ფინანსებით) სთავაზობს ჩვენი რეგიონის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას, რითაც ხელს უწყობს რეგიონის პოპულარიზაციას.

ჯგუფის სტრატეგია და მიზნები

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე. ჯგუფის დამფუძნებლებისა და მენეჯმენტის სურვილია, კიდევ უფრო განავითარონ ჯგუფი. ჯგუფი მუდმივად ადევნებს თვალს ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს და შესაბამისად ცდილობს მიუსადაგოს თავისი სტანდარტები თანამედროვე მოთხოვნებს.

ჯგუფის მენეჯმენტი, მაქსიმალურად ცდილობს კაზინოს სახელის საერთაშორისო ბაზარზე გატანას, რაც გამოიხატება კიდევ მომხმარებლების (ებრაელი, თურქი, არაბი, ირანელი და ა.შ) ეროვნების მრავალფეროვნებით. სამორინეს ძირითად ბაზარს წარმოადგენს ისრაელი და შესაბამისად ებრაელი ეროვნების მომხმარებელი არის პროცენტულად პირველ ადგილზე, რომელსაც მოყვება სხვადასხვა ზემოთხსენებული ქვეყნები. რაც შეეხება ქართულ ბაზარს, ქართველი მომხმარებლების ხვედრითი წილი არის ძალიან დაბალი დაახლოებით 2-3%, გამომდინარე იქედან, რომ ჯგუფისთვის პრიორიტეტს გარე ბაზარი წარმოადგენს, რითაც ჯგუფი ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით უცხოური ვალუტის შემოდინებას და ამასთან ერთად ტურისტების რაოდენობის ზრდას (მენეჯმენტი თვლის, რომ ტურიზმის სფეროში დადებით როლს თამაშობს სათამაშო ბიზნესი). სასტუმროების შემოსავლების დიდ ნაწილს მოცემული სფეროდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს, რადგან უმეტესი სამორინე განთავსებულია სასტუმროს შენობაში.

ჯგუფი ცდილობს მაღალი ხარისხის შენარჩუნებას სარესტორნო მომსახურების მიწოდებისას.

ჯგუფის მიზანია არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში იკავებდეს მოწინავე პოზიციას, რასაც წარმატებით უმკლავდება.

ჯგუფის მმართველობა და სტრუქტურა

ჯგუფის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ნებისმიერ საკითხზე ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებით.

ჯგუფის ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს - გიორგი აბაშიძეს, რომელიც დანიშნულია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.

ჯგუფის მმართველობითი სტრუქტურა მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:

- 1) ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
- 2) ფინანსური განყოფილება;
- 3) მარკეტინგის განყოფილება;
- 4) კვებისა და სასმელების განყოფილება;

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

- 5) ტექნიკური განყოფილება;
- 6) ელექტრონული თამაშების განყოფილება;
- 7) ცოცხალი თამაშების განყოფილება;
- 8) ხარისხის მართვის განყოფილება;
- 9) სტუმრებთან ურთიერთობის განყოფილება;
- 10) სალაროს განყოფილება;
- 11) სათვალთვალო კამერებისა და უსაფრთხოების განყოფილება.

ჯგუფის მენეჯმენტისთვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს ჯგუფში დასაქმებულ თანამშრომლებზე ზრუნვა. გარდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა ჯგუფი ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეუქმნას მომუშავე პერსონალს. კერძოდ: ჯგუფი მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე; მომსახურების მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ტრენინგების ჩატარებაზე; თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევაზე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა ჯგუფის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი. გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკების განსაზღვრა, შეფასება და სწორი მენეჯმენტი.

საოპერაციო რისკები: ძირითადად საოპერაციო რისკებად შეიძლება განვიხილოთ მომხმარებლებისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, მომხმარებელთა და პერსონალის სწრაფი ევაკუაცია, მომხმარებელთა სიცოცხლისა და პირადი ქონების დაცვა, სამორინეში შეღწევის შეზღუდვა, ვიდეო კონტროლი, ასევე მომხმარებელთა კვებასა და (ალკოჰოლურ თუ არაალკოჰოლურ) სასმელზე უსაფრთხოება, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა.

რისკის მართვა: ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად ჯგუფს გააჩნია ცოცხალი დაცვა, ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით. სტუმრებისთვის მაღალი ხარისხის საკვებისა და სასმელის მისაწოდებლად ჯგუფი თანამშრომლობს სადისტრიბუციო კომპანიებთან, რომლებსაც შესაბამისი გამოცდილება გააჩნიათ.

თაღლითობის რისკი: სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი თანდაყოლილი რისკია, თაღლითობის რისკი, რომელიც უკავშირდება თაღლითური გზებით აზარტული თამაშის წარმატებული შედეგის მიღწევას.

რისკის მართვა: ჯგუფის ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს აღნიშნული რისკის განეიტრალებაზე. მთავარი სტრატეგია არის:

- ეთიკური ღირებულებების განმტკიცება ჯგუფში;
- მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა;
- ფუნქცია მოვალეობების მისაღებ დონემდე დანაწილება;
- კადრების განგრძობითი სწავლების უზრუნველყოფა;
- სათამაშო პროცესზე პირდაპირ მონიტორინგთან ერთად კამერების საშუალებით მუდმივი მონიტორინგი.
- სალაროს ოპერაციებზე მკაცრი კონტროლი.

რეპუტაციული რისკი: ასევე ერთერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი რაც სათამაშო და სარესტორნო ბიზნესის ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის ჯგუფი სახელის (ბრენდის) დაცვა და უფრო მყარად დამკვიდრება, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. ასევე ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება ზრდის მომხმარებლების მხრიდან ნდობას (ფინანსური არასტაბილურობა განიზიდავს მომხმარებელს).

რისკის მართვა: ჯგუფის ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს არა მხოლოდ ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის, არამედ მისი რეპუტაციისა და გარკვეული სტანდარტების დამყარებისთვის. ასე მაგალითად, ჯგუფი მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს როგორც პერსონალის გადამზადებას, ასევე მომსახურე პერსონალის უნარ-ჩვევების გაღრმავებასა და საერთაშორისო ბაზარზე წამყვან სამორინეთა ინდუსტრიაში არსებულ სტანდარტებთან გათანაბრებას.

მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

ჯგუფი ტურინგესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

ფინანსური რისკები: ჯგუფის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები, რომლის შესახებაც დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შენიშვნა 5.

ჯგუფის ფინანსური შედეგების მიმოხილვა

ტურინგესტ ჯგუფი, ისევე როგორც სხვა კომერციული საქმიანობის მქონე იურიდიული პირები, ორიენტირებულია მოგებაზე, ბიზნესის განვითარებაზე და საქმიანობის მიმართულებების დივერსიფიცირებაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჯგუფის მიზანია კონკურენტულ ბაზარზე ლიდერი პოზიციების მოპოვება.

ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებს

	2023	2022
ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.58	1.37
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.35	1.33
საოპერაციო მოგების მარჟა	8%	24%
საოპერაციო უკუგება მთლიან აქტივებთან	3%	10%

შენიშვნა: ზემოთ მოცემული მაჩვენებლები გაიანგარიშება ქვემოთ მოცემული ფორმულების გამოყენებით.

ლიკვიდურობის კოეფიციენტი - მიმდინარე აქტივები გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი - მიმდინარე აქტივები გარდა მარაგებისა გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე.

საოპერაციო მოგების მარჟა - გაიანგარიშება საანგარიშგებო პერიოდის საოპერაციო მოგება გაყოფილი მთლიან ჯგუფის ამონაგებთან.

საოპერაციო უკუგება მთლიან აქტივებთან - გაიანგარიშება საანგარიშგებო პერიოდის საოპერაციო მოგება გაყოფილი ჯგუფის მთლიან აქტივებთან.

საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის კოეფიციენტები შესადარის პერიოდთან მიმართებით გაუარესებულია. რაც განპირობებულია 2023 წლის მიწურულს ისრაელში საომარი მოქმედებების გამოცხადებით, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კაზინოს საქმიანობის შედეგებზე. აღნიშნული ეფექტი განაპირობა გარე ფაქტორების სწრაფმა ცვლილებამ, შესაბამისად ვერ მოხდა პროპორციულად ხარჯების ოპტიმიზირება მოგების მარჟის შენარჩუნების მიზნით. ასევე, შედეგების გაუარესებაზე გავლენა ქონდა აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული მოსაკრებლების ზრდას, რამაზ გაზარდა ლიცენზიის ხარჯები.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 3 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გიორგი აბაშიძე

ჯგუფი ტურინვესტ ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

ფინანსური რისკები: ჯგუფის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები, რომლის შესახებაც დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შენიშვნა 5.

ჯგუფის ფინანსური შედეგების მიმოხილვა

ტურინვესტ ჯგუფი, ისევე როგორც სხვა კომერციული საქმიანობის მქონე იურიდიული პირები, ორიენტირებულია მოგებაზე, ბიზნესის განვითარებაზე და საქმიანობის მიმართულებების დივერსიფიცირებაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჯგუფის მიზანია კონკურენტულ ბაზარზე ლიდერი პოზიციების მოპოვება.

ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებს

	2023	2022
ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.58	1.37
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.35	1.33
საოპერაციო მოგების მარჟა	8%	24%
საოპერაციო უკუგება მთლიან აქტივებთან	3%	10%

შენიშვნა: ზემოთ მოცემული მაჩვენებლები გაიანგარიშება ქვემოთ მოცემული ფორმულების გამოყენებით.

ლიკვიდურობის კოეფიციენტი - მიმდინარე აქტივები გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი - მიმდინარე აქტივები გარდა მარაგებისა გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე.


საოპერაციო მოგების მარჟა - გაიანგარიშება საანგარიშგებო პერიოდის საოპერაციო მოგება გაყოფილი მთლიან ჯგუფის ამონაგებთან.

საოპერაციო უკუგება მთლიან აქტივებთან - გაიანგარიშება საანგარიშგებო პერიოდის საოპერაციო მოგება გაყოფილი ჯგუფის მთლიან აქტივებთან.

საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის კოეფიციენტები შესადარის პერიოდთან მიმართებით გაუარესებულია. რაც განპირობებულია 2023 წლის მიწურულს ისრაელში საომარი მოქმედებების გამოცხადებით, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კაზინოს საქმიანობის შედეგებზე. აღნიშნული ეფექტი განპირობა გარე ფაქტორების სწრაფმა ცვლილებამ, შესაბამისად ვერ მოხდა პროპორციულად ხარჯების ოპტიმიზირება მოგების მარჟის შენარჩუნების მიზნით. ასევე, შედეგების გაუარესებაზე გავლენა ქონდა აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული მოსაკრებლების ზრდას, რამაზ გაზარდა ლიცენზიის ხარჯები.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 3 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გიორგი აბაშიძე